თვითმმართველი ქალაქის –ქუთაისის მერიის საკონკურსო კომისიის სხდომის ოქმი
№2

ქ. ქუთაისი 07 ივნისი 2012 წელი

საკონკურსო კომისიის სხდომას ესწრებოდნენ:

კოტე რატიანი	– ქ. ქუთაისის მერიის სახელმწიფო შესყიდვების სამსახურის უფროსი, საკონკურსო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე.
ლევან ჭანჭალეიშვილი	–ქ. ქუთაისის მერიის კეთილმოწყობის სამსახურის უფროსი, საკონკურსო კომისიის წევრი.
ვასილ მებურიშვილი	–ქ. ქუთაისის მერიის არქიტექტურის და ზედამხედველობის სამსახურის უფროსი, საკონკურსო კომისიის წევრი
ირაკლი გიორგაძე	– ქ. ქუთაისის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის იურიდიული განყოფილების უფროსი, საკონკურსო კომისიის წევრი.

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი : კონკურსის მეშვეობით ქალაქ ქუთაისში საყრდენი კედლების მშენებლობის საპროექტო–სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის (11 ობიექტი) შესახებ (საკონკურსო განცხადების №503. 31.05.2012).

განხილვა: საკონკურსო კომისიის წევრმა ლევან ჭანჭალეიშვილმა კომისიის წევრებს მოახსენა, რომ აღნიშნულ კონკურსში მონაწილეობის მისაღებად დალუქული კონვერტი წარმოადგინა 2 (ორი) კონკურსანტმა: 1. შ.პ.ს „კარიბჭე" და 2. შ.პ.ს ,,ჰიდროგეოდეზიური ცენტრი"-მ.

ამის შემდეგ დალუქული კონვერტები გაიხსნა კონკურსანტების თანდასწრებით და გამოცხადდა საკონკურსო წინადადების ფასი.

1. შ.პ.ს „კარიბჭე" – 12800 (თორმეტიათასრვაასი) ლარი დღგ-ს გარეშე.
2. შ.პ.ს ,,ჰიდროგეოდეზიური ცენტრი" – 11950 (თერთმეტიათას-ცხრაასორმოცდაათი) ლარი დღგ-ს გარეშე.

საკონკურსო კომისიის გადაწყვეტილებით საკონკურსო წინადადების და საკონკურსო ტექნიკური დოკუმენტაციის განხილვის ვადათ განისაზღვრა 2012 წლის 07 ივნისის 12:30 საათამდე პერიოდით.

საკონკურსო კომისიამ განიხილა კონკურსანტების მიერ წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება და თანმხლები დოკუმენტები.

შ.პ.ს „კარიბჭე"–ს და შ.პ.ს ,,ჰიდროგეოდეზიური ცენტრი"-ს მიერ წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება და თანმხლები დოკუმენტები შეესაბამება საკონკურსო კომისიის მიერ გამოქვეყნებულ განცხადების მოთხოვნებს.

აზრი გამოთქვეს: საკონკურსო კომისიის თავმჯდომარის მოადგილემ – კოტე რატიანმა. კომისიის წევრებმა: ვასილ მებურიშვილმა და ირაკლი გიორგაძემ.

ამის შემდეგ განხორციელდა კონკურსანტების შეფასება.

1. შ.პ.ს „კარიბჭე"–მ - მიიღო 27,6 ქულა.
2. შ.პ.ს ,,ჰიდროგეოდეზიური ცენტრი"-მ – მიიღო 28,4 ქულა.

აზრი გამოთქვეს: საკონკურსო კომისიის თავმჯდომარის მოადგილემ – კოტე რატიანმა. კომისიის წევრებმა: ლევან ჭანჭალეიშვილმა და ირაკლი გიორგაძემ.

დაადგინეს: 1. საკონკურსო კომისიის შეფასებიდან გამომდინარე ქალაქ ქუთაისში საყრდენი კედლების მშენებლობის საპროექტო–სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის (11 ობიექტი) სახელმწიფო შესყიდვისათვის გამოცხადებულ კონკურსში გამარჯვებულად გამოვლინდა შ.პ.ს ,,ჰიდროგეოდეზიური ცენტრი".

2. ქალაქ ქუთაისის მერიის კეთილმოწყობის სამსახურმა (ლევან ჭანჭალეიშვილი) გამოყოს სათანადო უფლებამოსილი პირები და უზრუნველყონ ,,შემსყიდველსა" და ,,მიმოწოდებელს" შორის დადებული ხელშეკრულების შესაბამისად საპროექტო–სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მიღება–ჩაბარება დადგენილი წესის მიხედვით.

3. საკონკურსო კომისიამ კანონით დადგენილ ვადაში უზრუნველყოს გამარჯვებული ორგანიზაციის მოწვევა სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების გასაფორმებლად.

საკონკურსო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე: **კოტე რატიანი**

კომისიის წევრები:

ლევან ჭანჭალეიშვილი

ვასილ მებურიშვილი

ირაკლი გიორგაძე